

საერთაშორისო ენერგეტიკულ უსაფრთხოებათა მაკოორდინირებელი ცენტრი

ი.ჩოლოყაშვილი

შემოთავაზებულია ავტორის მიერ შემუშავებული მოსაზრებები ერთიანი ენერგეტიკული კონცეფციის ფორმულირების შესახებ. მათ დასამუშავებლად საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების ექსპერტების ერთობლივი ძალისხმევა. ერთიანი ენერგეტიკული კონცეფციის საბოლოო მიზნად უნდა იქნას საერთაშორისო ენერგეტიკული ურთიერთობის საკოორდინაციო ცენტრის შექმნა.

ასეთი ორგანიზაციის მოღვაწეობის ძირითად საკითხებად უნდა იქცეს შემდეგი: ცალკეული ქვეყნების (რეგიონების) ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით კონცეპტუალური მიდგომის შემუშავება; საერთაშორისო კანონმდებლობითი ბაზის შექმნა ენერგეტიკის განვითარების დარგში ქვეყნებს შორის დამოკიდებულებების ჩამოყალიბების მიმართებაში; ენერგეტიკის დარგში ერთიანი მსოფლიო სტანდარტების შემუშავება; მყარი ბაზის შექმნა ცალკეული ქვეყნების ენერგოპოტენციალის განვითარების მიზნით.

მაგალითის სახით მოყვანილია კანონპროექტი, მიღებული ევროკავშირის მიერ 2009 წლის ივნისში ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ვერც ერთი ქვეყანა ვერ შესძლებს მარტომ დასძლიოს თანამედროვეობის ურთულესი პრობლემები და ამ პრობლემებს შორის ისეთი ლოკალური საშიშროებანიც, რომელთა პერმანენტული განვითარებაც გლობალურ მასშტაბებს იღებს. მათ შორის, უპირველესად ისეთი საშიშროებანი იგულისხმებიან, როგორიცაა: ენერგეტიკული, ეკოლოგიური და ნედლეულით გაღარბებისა. ამ სახის ლოკალური (ანუ ერთეული ქვეყნებისათვის) საშიშროებანი გარკვეული პროგრესით მიისწრაფიან გლობალური (მსოფლიო) საშიშროებისაკენ. გამოსავლის ძიება ერთობლივ მიზანდასახულ ღონისძიებებში უნდა ვეძიოთ.

ენერგეტიკა ის მრავალგანზომილებიანი სექტორია, რომელიც ცხოვრების ხარისხის ყველა ასპექტზე ახდენს ზეგავლენას. ენერგომატარებლების მოხმარების გარკვეულ ზედრით წილს შეიცავს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შემავალი საქონელი და მომსახურება. ყოველი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი მნიშვნელოვანია მისი ყველა ცხოვრებისეული სფეროს წარმატებულობისათვის, მაგრამ დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით, მსოფლიომ უნდა იფიქროს და იზრუნოს როგორც ქვეყნების, ასევე რეგიონებისა და მთლიანად მსოფლიოს ენერგოუსაფრთხოებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინდა შემოგთავაზოთ მოსაზრება ერთიანი ენერგეტიკული კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების, ქვეყნების ინსტიტუციონარულ, აკადემიურ სტრუქტურათა და ექსპერტთა ჩართვას მოითხოვს – საერთაშორისო ენერგეტიკულ უსაფრთხოებათა მაკოორდინირებელი ცენტრის (შემდგომში – სეუმც) შესაქმნელად, რომელიც სისტემატურად იმუშავებს ქვეყნების (რეგიონების) ენერგეტიკულ უსაფრთხოებისა და დღევანდულობისათვის ისეთ პრობლემატურ და საჭირობო საკითხებზე, რომელთაც შესახებ კონკრეტულად ქვემოთ წარმოვიდგენთ.

– კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბება ქვეყნების (რეგიონების) ენერგოუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად;

– საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე, ქვეყნებს შორის ენერგეტიკულ უსაფრთხოებათა დასარეგულირებლად;

– ერთიან მსოფლიო სტანდარტების დამკვიდრებაზე ენერგეტიკაში;

– ქვეყნების ენერგოპოტენციალის განსავითარებლად რეკომენდაციების შემუშავებაზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება ენერგეტიკული კრიზისის მოგვარების პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ნებისმიერი ქვეყნის (რეგიონის) ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეპტუალური პერსპექტივის შემუშავებისათვის საჭირო იქნება უპირველესად ქვეყნის ენერგეტიკული პასპორტის შექმნა, რაც გულისხმობს:

- ქვეყნის რეალურად ფუნქციონირებად ენერგეტიკული წყაროების და მათი სიმძლავრეების განსაზღვრას;
- ქვეყნის მფლობელობაში არსებული პოტენციური ენერგოწყაროების და მათი რესურსების განსაზღვრას;
- პოტენციური ენერგოწყაროების ამუშავებისათვის საჭირო ფინანსურ, ტექნიკურ და სხვა საშუალებების გათვლებს;
- ენერგეტიკული წყაროების შექმნისას, მათი გარემოზე ზემოქმედების ობიექტურ შესწავლას და პროექტების რეალიზების მათზე მონიტორინგის უფლებას;
- ქვეყნის რეალური და პროგნოზირებადი ენერგომოხმარების ანალიზს;
- რეკომენდაციებს ქვეყნის ენერგოინფრასტრუქტურის განვითარებისა და ენერგოდაზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის ხაზით;
- რეკომენდაციების შემუშავებასა და მიწოდებას, თუ ქვეყანა განიცდის საკუთარი ენერგორესურსების ნაკლებობას, მათი შევსების პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას – საერთაშორისო ორგანიზაციებზე, დონორებსა და ინვესტორებზე მათთვის საინტერესო ქვეყნების ენერგოინფრასტრუქტურისა და ენერგოპოტენციალის განვითარებაში მონაწილეობის მიღების სურვილის შემთხვევაში.

სეუმც ბევრად მიუკერძოებლად და ობიექტურად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნისა და რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფციებს და ენერგეტიკულ პასპორტებს, უტყუარ რეკომენდაციებს მისცემს ქვეყნებსა და ინვესტორებს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების გზებზე, არ იქნება დამოკიდებული რომელიმე ქვეყნის მთავრობისგან, ან კორპორატიული ინტერესების მქონე წრეებიდან, ენერგეტიკის რომელიმე დარგისათვის უფრო ხელსაყრელი, პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებისათვის. ამის საშუალებას ქმნის სწორედ ქვეყნის ენერგეტიკული პასპორტის შექმნა, რომელშიც აისახება ქვეყნის რეალურად არსებული ენერგეტიკული აქტივები, განისაზღვრება მისი ენერგეტიკული პოტენციალი, დადგინდება ქვეყნის არსებული და პერსპექტიული ენერგომოხმარების ბალანსი, მიეცემა ქვეყანას რეკომენდაციები თავის ენერგეტიკული მეურნეობისა და პოლიტიკის წარმართვისათვის. გათვლები გაკეთდება ერთიანი სტანდარტებითა და მიდგომებით, აგრეთვე მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული უსაფრთხო ენერგოწყაროების განვითარება, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სითბური ემისიის შემცირებაზე და უფრო მეტად დაზოგავს მსოფლიო საწვავსა და სანედლეულო მარაგს.

სეუმც-ის, ამ საერთაშორისო ინსტიტუციონარულ სტრუქტურის საშუალებით შეიძლება შემუშავდეს ერთიანი სტანდარტები და ნორმატიული დოკუმენტაცია, რომელთა დანერგვითაც უფრო გაადვილდება სხვადასხვა ქვეყნის ენერგოსტრუქტურების მართვა და, მათ შორის ურთიერთობათა დამყარება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საერთაშორისო ენერგეტიკულ ურთიერთობათა საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2009 წლის ივნისში ევროკავშირის მიერ მიღებული კანონპროექტი, სადაც მოყვანილია სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბირთვულ უსაფრთხოებას. ამ დირექტიული დოკუმენტის მიზანია – მთელი ევროპისათვის შექმნას ერთიანი სამართლებრივი სტრუქტურა და შექმნას ბირთვულ მასალებთან უსაფრთხო მუშაობის მყარი ტრადიციები.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების შემთხვევაში საშუალება იქნება მსოფლიოში დარეგულირდეს ქვეყანათა შორის ენერგოურთიერთობები, ნაკლები საშუალება მიეცეთ

ენერგორესურსის მქონე ქვეყნებს თავისი შესაძლებლობები გამოიყენონ პოლიტიკური ზეწოლებისათვის, ჯანსაღად განვითარდეს ქვეყნების ენერგოსტრუქტურები და დაცული იქნეს მათი ენერგოუსაფრთხოება – რაც საბოლოო ჯამში მსოფლიო ენერგეტიკულ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას განაპირობებს.

კავკასიის ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიული
კვლევების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე,
ენერგეტიკის ექსპერტი იმანე ჩოლოყაშვილი